# ო ქ მ ი N 9

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა

ქ. ხობი. 2023 წლის 20 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.აკაკი ხურცილავა

3.ბადრი რიჟამაძე

4.ჯანსუღ ჯიშკარიანი

5.მოგელი ხუხია

6.გურიელ ქარდავა

7.მალხაზ იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

**დღის წესრიგი:** ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 19 ოქტომბრის N 50 – 502301357 წერილის განხილვა;

="ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

="ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

**კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:**

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე 7 წინააღმდეგი არც ერთი.

**დაადგინეს:** დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

**დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:**

1.“ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე:

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცების შესახებ“

მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა არის ავარიულ მდგომარეობაში, მისი აღდგენა მისი აღდგენა - რეაბილიტაცია მოითხოვს დიდ ხარჯებს, ინდივიდუალური აუდიტორის და ქონების ექსპერტ - შემფასებლის მიერ განხორციელდა აღნიშნული ქონების შეფასება და მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს აუქციონის წესით აღნიშნული შენობა - ნაგებობის (დასაშლელად) პრივატიზება. ასევე ინდივიდუალური აუდიტორი და ქონების ექსპერტ - შემფასებლის მიერ განხორციელდა მოძრავი ქონების ავტომანქანა „ნისან - ნავარას“ შეფასება.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

**კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:**

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე 7, წინააღმდეგი არც ერთი.

**დაადგინეს:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

2.“ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

**მოისმინეს:** მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობა, ყოფილი რედაქციის შენობის მეორე სართული , მდებარე ქ. ხობი გამსახურდიას ქუჩა, არის დაუტვირთავი, ფართი საჭიროებს რეაბილიტაციას, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ფართი გაიჯარდეს აუქციონის წესით. ქონება შეფასებულ იქნა ინდივიდუალური აუდიტორის, ექსპერტ - შემფასებლის მიერ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობს.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

**კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:**

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე 7 წინააღმდეგი არც ერთი.

**დაადგინეს:** წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: ვ. [signature] / ვ. ქანთარია//